

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების
მარკეტინგული სტრატეგია

დანართი 1

მთავარი ღირშესანიშნაობებისა და
სერვისების ნუსხა

მომზადებულია:



თანამშრომლობით:



ბარსელონა/თბილისი 2012 წლის 11 ივლისი

სარჩევი

1. შესავალი	4
2. რესურსებისა და ღირშესანიშნაობების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა .	4
3. მუზეუმების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით	9
4. განთავსების საშუალებები	20
5. კვების ობიექტები და გართობა.....	26
6. ტურ ოპერატორები.....	29
7. კურორტები და სპა ობიექტები	35

ცხრილების ჩამონათვალი

1. მუზეუმების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	9
2. შერჩეული მნიშვნელოვანი მუზეუმები იმერეთში	10
3. იმერეთის მთავარი მღვიმეები	14
4. იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების 2011 წლის სტატისტიკა	14
5. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ	
6. წარსულში ჩატარებული კამპანია.....	15
7. ღვინის ქარხნები იმერეთში	17
8. განთავსების საშუალებები იმერეთში.....	20
9. იმერეთის მთავარი სასტუმროები	21
10. იმერეთის სასტუმროები ონლაინ რეზერვაციების სისტემებში	22
11. კვების ობიექტების განაწილება იმერეთში.....	26
12. კვების მთავარი ობიექტები იმერეთში.....	27
13. ძირითადი ეროვნული შემომყვანი ტურ ოპერატორები.....	29
14. ტიპური შეთავაზებები, რომლებიც მოიცავს იმერეთს.....	30
15. იმერეთის ტურებში ჩართულობის შეფასება.....	31
16. იმერეთში დარეგისტრირებული შემომყვანი ტურ ოპერატორები	33
17. იმერეთის მომცველი ტურის მაგალითები.....	34
18. იმერეთის ბალნეოლოგიური კურორტების დახასიათება	35
19. წყალტუბოს რუკა.....	38

1 შესავალი

ანგარიში მიზნად ისახავს იმ მთავარი რესურსების იდენტიფიკაციას, რომლებიც მოემსახურებიან ტურიზმის სექტორს იმერეთის რეგიონში, ამასთანავე აანალიზებს იმერეთთან დაკავშირებულ არსებულ სარეკლამო-მასტიმულირებელ მასალებს. მასალები, რომლებიც შესწავლილია ანგარიშში მოიცავს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაში წამყვანი მოთამაშეების ბროშურებს, სარეკლამო პროსპექტებს, ვებ-საიტებს და ონლაინ პორტალებს, ამასთანავე მეორად ანგარიშებს, რომლებიც ეხება ტურისტულ ღირშესანიშნაობებს იმერეთში. მთავარ მოთამაშეებად განვიხილავთ საქართველოში მომქმედ შემომყვან ტურ ოპერატორებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს ქუთაისში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და იმერეთში ფუნქციონირებად სხვადასხვა ტურისტულ კომპანიებს.

2 რესურსებისა და ღირშესანიშნაობების ჩამონათვალი და მოკლე აღწერა

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

კულტურული მემკვიდრეობის მიხედვით იმერეთი საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი რეგიონია. მისი კულტურული მემკვიდრეობა ანტიკური და შუა საუკუნეების ექოპიდან შემორჩენილი 78 ეკლესიით, 13 ციხე-სიმაგრითა და 39 არქეოლოგიური ძეგლით შედგება. ღირშესანიშნავ ძეგლებს შორის ორი მათგანი - გელათის მონასტერი და ბაგრატის ტაძარი, რომლებიც იმერეთის ტურისტული ღირშესანიშნაობების ძლიერ ბირთვს წარმოადგენენ, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობების სიაში 1994 წლიდან იკავებენ ადგილს.


იმერეთის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობებია:

- გელათის მონასტერი
- ბაგრატის საკათედრო ტაძარი
- ვანის ანტიკური ნაქალაქევი
- სათაფლია და პრომეთეს მღვიმეები
- კაცხის სვეტი
- მოწამეთას მონასტერი
- გორდის დადიანების ოჯახის სასახლე
- უბისას მონასტერი





გელათის მონასტერი



გელათი ქუთაისის მახლობლად მდებარე სამონასტრო კომპლექსია. იგი შედგება 1106 წელს ქართველთა მეფის, დავით აღმაშენებლის მიერ აშენებული ღვთისმშობლის ეკლესიისაგან და მე-13 საუკუნით დათარიღებული წმინდა გიორგის და წმინდა ნიკოლოზის ეკლესიებისგან.

დიდი ხნის განმავლობაში გელათის მონასტერი წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ კულტურულ და საგანმანათლებლო ცენტრს საქართველოში. გელათის აკადემიაში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები, თეოლოგები და ფილოსოფოსები, რომელთაგან ზოგიერთი მათგანი კონსტანტინოპოლის მანგანის აკადემიაში და ასევე საზღვარგარეთის სხვადასხვა მონასტრებში მსახურობდა. მეცნიერებს შორის იყვნენ ისეთი ცნობილი პირები, როგორებიც არიან იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი.

გელათის მონასტერში შემონახულია დიდი რაოდენობით ფრესკები და ხელნაწერები, რომლებიც თარიღდებიან მე-12 - მე-17 საუკუნეებით. გელათშივეა დაკრძალული უდიდესი ქართველთა მეფე, დავით აღმაშენებელი. 1994 წელს გელათის მონასტერი UNESCO-მ მსოფლიოს მემკვიდრეობის ძეგლად ცნო.

შემოთავაზებული რეგიონალური განვითარების პროექტი, რომელიც დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ, ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის განვითარება-განახლების და შენარჩუნების ღონისძიებებს გელათის მონასტერში, ამასთანავე კულტურული მემკვიდრეობების ძეგლების მართვის გეგმების შემუშავებას (რეგიონალური განვითარების პროგრამა II (P130421), მსოფლიო ბანკი, 2012).

ბაგრატის საკათედრო ტაძარი



ბაგრატის ტაძარი მე-11 საუკუნის საკათედრო ტაძარია, რომელიც ქალაქ ქუთაისში მდებარეობს. ტაძარი, რომლის მხოლოდ ნანგრევებიც იყო შემორჩენილი უახლოეს წარსულში, საქართველოს შუა საუკუნეების არქიტექტურის შედევრად არის დასახელებული. 1952 წელს დაწყებული ტაძრის შენარჩუნების და აღდგენითი სამუშაოები, ასევე არქეოლოგიური კვლევები დღემდე მიმდინარეობს. 1994 წელს, გელათის მონასტერთან ერთად ბაგრატის ტაძარი UNESCO-ს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში იქნა შეტანილი, როგორც ერთიანი კომპლექსი. 2001 წელს საკათედრო ტაძარი საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აღუდგინეს. დღესდღეობით ბაგრატის ტაძარი, როგორც სამლოცველო ადგილი შეზღუდულად ფუნქციონირებს, მიუხედავად ამისა ეს ადგილი პილიგრიმებისა და ტურისტებისათვის საკმაოდ მიმზიდველია. მას ასევე ხშირად მოიხსენიებენ, როგორც მთლიანად ქუთაისის სიმბოლოდ, როგორც მთავარ ღირშესანიშნაობას ტურისტებისათვის.

ამჟამად ბაგრატის ტაძარზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც UNESCO-ს ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდება ყოველგვარი წესების და დებულებების გათვალისწინებით.

ვანის ანტიკური ნაქალაქები



ვანის ნაქალაქევი ვანის რაიონში მდებარეობს და თარიღდება ძვ.წ. მე-8 საუკუნით. ვანი კოლხეთის კულტურულ ცენტრი იყო. ნაქალაქევი ადმოქენილია უძველესი ნივთები და საფლავები. აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ვანის არქეოლოგიურ მუზეუმზე, რომელშიც განთავსებულია დარბაზი, ბიბლიოთეკა, ალდგენისა და განახლების განყოფილებები. ოქროს ფონდი, რომელიც ასევე არქეოლოგიურ მუზეუმში მდებარეობს ინახავს ოქროს, ვერცხლისა და სპილენძისგან დამზადებულ უნიკალურ ნაკეთობებს. ვანში ასევე არის საკმაოდ საინტერესო მუზეუმი, რომელშიც გამოფენილია ძველი კოლხეთიდან შემორჩენილი უნიკალური ნივთები.

შემოთავაზებული რეგიონალური განვითარების პროექტი, რომელსაც მსოფლიო ბანკი აფინანსებს, ითვალისწინებს მუზეუმში შემონახული ხელოვნების ნიმუშების შენახვა-შენარჩუნებას, ასევე მუზეუმის განახლებას (წყარო: იმერეთის რეგიონალური განვითარების პროექტი), რომელიც მომავალში ვანს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ და სამეცნიერო ცენტრად წარმოაჩენს რეგიონში.

კაცხის სვეტი



კაცხის სვეტი ბუნებრივი კირქვის მონოლითია, რომელიც მდებარეობს იმერეთის სოფელ კაცხში, ჭიათურასთან ახლოს. ის დაახლოებით 40 მეტრის (130 ფუტი) სიმაღლისაა და გადმოჰყურებს მდინარე კახურას (მდინარე ყვირილას მარჯვენა შენაკადს). კლდის ზედაპირი 150 კვ. მეტრზეა გაშლილი, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევები შეინიშნება. ეს კლდე ადგილობრივები მაცხოვრებლების მიერ ცხოვრების სვეტად აღიქმებოდა, რომელიც ჭეშმარიტი ჯვრის სიმბოლურ დატვირთვას ატარებს და უამრავი ლეგენდითაა მოცული. ეს ადგილი მკვლევარების მიერ 1944 წლამდე აუთვისებელი იყო. მისი ინტენსიური შესწავლა 1999 წლიდან დაიწყო და 2009 წლამდე გრძელდებოდა. კვლევებმა აჩვენეს, რომ ეს ადგილი შუა საუკუნეებში განდევილთა სამყოფელი იყო, რომელიც თარიღდება მე-9 და მე-10 საუკუნეებით. მე-13 საუკუნით დათარიღებული წარწერა გვეუბნება, რომ განდევილთა სამყოფელი ადგილები ჯერ კიდევ არსებობდა იმ დროისათვის.

სვეტთან დაკავშირებულმა რელიგიურმა საქმიანობამ აღორძინება 1990-იან წლებში დაიწყო და მონასტრის შენობის აღდგენა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში 2009 წლისთვის დასრულდა.

ეს ადგილი, ისევე როგორც სხვა ადგილები, კულტურული მემკვიდრეობების სიაშია, რომლის გასაუმჯობესებლადაც მსოფლიო ბანკის ფინანსებია

გამოყოფილი. დაგეგმილია სვეტამდე მისადგომი გზის შეკეთება, ამასთანავე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება (წყარო: იმერეთის რეგიონალური განვითარების პროექტი).

მოწამეთას მონასტერი



ეს არის ქუთაისის მახლობლად მდებარე პატარა მონასტერი, მრგვალი კოშკურებით, რომლებიც შემკობილია კარვისებრი წვეტიანი გუმბათებით. მონასტერი მდინარე რიონის ზემოთ მდებარეობს და გარშემო მცენარეებითაა გარემოცული. ლეგენდის მიხედვით მონასტერი იმ ადგილას არის აშენებული, სადაც მუსულმანებმა ქართველი უფლისწულები დავით და კონსტანტინე მხეიძეები აწამეს ისლამის მიღების უარყოფის გამო. მოწამეთა, უძველესი ცრუ რწმენის გავლენით, უამრავ ტურისტს იზიდავს: კერძოდ თუ ადამიანი თაღის ქვეშ 3-ჯერ გაცოცდება და წმინდა ადგილების შეხებისას სურვილს ჩაუთქვამს, უფლისწულები დავითი და კონსტანტინე ამ სურვილს აუსრულებენ.

მონასტერი ახლახანს იქნა რეკონსტრუქტურირებული, მათ შორის ტურისტული ინფრასტრუქტურაც მნიშვნელოვნად არის განვითარებული (მაგ: მისადგომობა, ავტოსადგომი, საიდენტიფიკაციო-საგზაო ნიშნები და სხვა).

გორდას დადიანების სასახლე



დადიანების ოჯახის საზაფხულო რეზიდენცია გორდში არქიტექტურულ საგანძურად ითვლება. ეს ადგილი ცნობილია თავისი დენდროლოგიური პარკით. სასახლე მდებარეობს იმერეთის სოფელ გორდში, სამეგრელოს საზღვართან. სასახლის არქიტექტორი რუსი ლეონიდ ვასილევსკი იყო, ხოლო ლანდშაფტის დიზაინერი კი ცნობილი აგრონომი იოსებ ბანინი. იტალიელმა მეზაღემ, გაეტანო გამბერლემ, დაასრულა ბენინის მიერ დაწყებული საკმეიანობა. ბაღის მთლიანი ფართობი 80 ჰექტარია. რევოლუციის დროს სასახლე

მთლიანად იქნა გამარცვული ბოლშევიკების, ხოლო შემდეგ კი სოფლის ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ. დღესდღეობით სასახლის მხოლოდ კარკასია შემორჩენილი სახურავის გარეშე.

რეგიონალური განვითარების პროექტი ითვალისწინებს მისადგომი გზის გაუმჯობესებას, პარკის რეაბილიტაციას და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარებას (წყარო: იმერეთის რეგიონალური განვითარების პროექტი). პროექტი ასევე მიზნად ისახავს გორდას ხეობაში მდებარე კანიონის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის (საფეხმავლო ბილიკის) გაუმჯობესებას.

უბისას მონასტერი



წმ. გიორგის სამლოცველო და სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს იმერეთის სოფელ უბისასთან ახლოს. უბისის მონასტერი მე-9 საუკუნეში აშენდა და იგი თამარ მეფის საყვარელი ადგილი იყო. სამლოცველოს მოხატულობა საკმაოდ საინტერესოა, იგი მე-14 საუკუნით თარიღდება. აქ წარმოდგენილია ყველა რელიგიური დღესასწაულის ბრწყინვალე კომპოზიცია, კერძოდ: ღვთისმშობლის ხსენების დღე, ჯვარცმა, აღდგომა და სხვ. მონასტერი ასევე ცნობილია ბერების მიერ გაკეთებული თაფლით.

იმერეთის რეგიონალური განვითარების პროექტის ფარგლებში გასაუმჯობესებელ ღირშესანიშნაობათა სიაში უბისის მონასტრიც იმყოფება. სამონასტრო კომპლექსისათვის დამუშავდება ძეგლის მართვის გეგმა.

მუზეუმები

იმერეთში სხვადასხვა მნიშვნელობის და პროფილის 25 მუზეუმი. 14 მათგანი მემორიალური მუზეუმი, 9- ისტორიული, 1- არქეოლოგიური და 1- სამხედრო. იმერეთის თითქმის ყველა მუნიციპალურ ცენტრში შევხვდებით მუზეუმს.

მუზეუმების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

მუნიციპალიტეტი	მუზეუმების რიცხვი
ქუთაისი	4
წყალტუბო	3

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
მთავარი ღირშესანიშნაობების და მომსახურებების ნუსხა

ჭიათურა	3
ხონი	3
ვანი	2
ზესტაფონი	2
თერჯოლა	2
საჩხერე	2
ზარაგაული	2
სამტრედია	1

წყარო: <http://www.georgianmuseums.ge>

ცხრილში წარმოდგენილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი მუზეუმის შესახებ დეტალური ინფორმაცია.

შერჩეული მნიშვნელოვანი მუზეუმები იმერეთში

დასახელება	ადგილმდებარეობა	პროფილი	ვიზიტორების წლიური რიცხვი	ბილეთის ფასი (ლარი)
ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი	ქუთაისი	ისტორიული	4,300	3
ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-რეზერვი	ვანი	არქეოლოგიუ რი	5,909	3
გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმი	ვანი	მემორიალურ ი	4,297	1
ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ- მუზეუმი	ბაღდათი	მემორიალურ ი	3,000	უფასო
ზარაგაულის ადგილობრივი ისტორიული მუზეუმი	ზარაგაული	ისტორიული	3,210	უფასო

ჭიათურის ადგილობრივი მუზეუმი	ჭიათურა	ისტორიული	1,000	1
------------------------------------	---------	-----------	-------	---

წყარო: <http://www.georgianmuseums.ge>

დაცული ტერიტორიები

დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ კანონი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ იქნა მიღებული 1996 წელს, საქართველოს დაცული ტერიტორიების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოში შემოღებულ იქნა დაცულ ტერიტორიებთან მოპყრობის საერთაშორისოდ აღიარებული პრაქტიკა. იმერეთი გამოირჩევა თავისი დაცული ტერიტორიებით. იმერეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს:

სამ შემონახულ ტერიტორიას

- 12 მღვიმეს
- 9 საკურორტო ადგილს

სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი



სათაფლიის ბუნებრივი ნაკრძალი წყალტუბოს რაიონში მდებარეობს თბილისიდან 260 კმ-ში, ხოლო წყალტუბოს კურორტიდან 9 კმ-ში. სათაფლიის ბუნებრივი ნაკრძალი რაჭის ხეობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს და გაშლილია 354 ჰექტარზე, საიდანაც 209 ჰექტარი ტყით არის დაფარული. სათაფლია ცნობილია ამ ტერიტორიაზე არსებული დინოზავრის ნაკვალევით. ამ თვალსაზრისით მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სათაფლია ერთ-ერთი უმდიდრესი ადგილია მსოფლიოში. სათაფლია და დინოზავრის ნაკვალევი აღმოჩენილ იქნა ქუთაისელი გარემოს დაცვის სპეციალისტის პ. ჭაბუკიანის მიერ, რომელმაც ასევე პირველყოფილი ადამიანის დასახლებაც აღმოაჩინა. აღნიშნული რეზერვი 1935 წელს შეიქმნა გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ძეგლების დასაცავად. მღვიმის მთლიანი სიგრძე 900 მეტრია, ხოლო სასიარულო გზა 310 მეტრი.

სათაფლიის ბუნებრივ ნაკრძალში ტურისტებს შეუძლიათ მოაწყონ ფოტო-ტურები, კემპინგი, სპელეოტური, პალეონტოლოგიური, ფრინველებზე დაკვირვების და ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო ტურები კოლხის ტყის

ბილიკზე. ზაფხულის და ზამთრის განმავლობაში მდვიმეში შენარჩუნებულია მუდმივი ტემპერატურა +14 C.

აჯამეთის დაცული ტერიტორია



აჯამეთის დაცული ტერიტორია მდებარეობს ბაღდათის რაიონში, ქუთაისიდან 15 კმ-ის დაშორებით. ნაკრძალის მთლიანი ტერიტორიის ფართობი 4848 ჰექტარია, საიდანაც 4738 ჰექტარი ტყით არის დაფარული. აჯამეთის ტყეები უნიკალურია, რადგანაც კოლხეთის დაბლობზე თითქმის არ მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც შერეული სუბტროპიკული ტყეები გვხვდება შემონახული თავპირველ მდგომარეობაში. ზოგიერთი ხის ასაკი 250 წელზე მეტია. ასევე აქ ბინადრობენ წითელი წიგნში შეყვანილი ცხოველებიც, მაგალითად: ლეისლერის ღამურა, კავკასიური ციყვი, ჩვეულებრივი ძილგუდა, ტყის ძილგუდა, და კავკასიური წავი. აჯამეთის ბუნებაში ასევე 60 სახეობის ფრინველია დაფიქსირებული.

ბორჯომ-ხარაგაულის ბუნებრივი ტყე-პარკი



ტყე-პარკი მდებარეობს საქართველოს შუაგულში და მცირე კავკასიონის ნაწილს შეადგენს. ეს არის ყველაზე დიდი ეროვნული ნაკრძალის ტერიტორია მთელს ევროპაში. იგი ფარავს ბუნებრივი ტყის და ალპური მდელოების 76 000 ჰა-ს და იწახავს უიშვიათეს ფლორასა და ფაუნას. პარკში ძუძუმწოვარ ცხოველთა ფართო სპექტრია. ცხოველებს შორის შევხვდებით რუხ მგელს, ავაზას და მურა დათვს. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პირველი ტყე-პარკი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. პარკი დაარსდა 1995 წელს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ (WWF) და ოფიციალურად 2001 წელს გაიხსნა.

ამჟამად ეროვნული პარკის მიდამოებში 9 ტურისტული მარშრუტი მუშაობს. ეროვნული პარკი ასევე გვთავაზობს 4 თავშესაფარ ადგილს ტურისტებისათვის უშუალოდ პარკის ტერიტორიაზე და ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ სასტუმროს ტიპის სახლს მარელისში. მეზობელ რაიონებში (მაგ: ბორჯომი, ნუნისი, ახალციხე) უხვად მოიძებნება სასტუმროები და კერძო პირების მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი ადგილები. მარშრუტების უმეტესობა ვიზიტორებისთვის აპრილი–მაისიდან იხსნება და ოქტომბრამდე მუშაობს. სიგრძის, ხანგრძლივობის და სირთულის მრავალფეროვნება ვიზიტორებს საშუალებას აძლევს აირჩიონ მარშრუტი მათი პერსონალური პრეფერენციების, გამოცდილების და ფიზიკური შესაძლებლობის მიხედვით. მცენარეების მოყვარულთათვის საუკეთესო დრო ივნისია, როდესაც ჰაიკერებს ყვავილთა ზღვა ეგებება, ასევე საუცხოო გამოცდილებაა როდოდენდრონების აყვავების ნახვა ეროვნული პარკის ხარაგაულის ნაწილში აპრილისთვის ან მაისისთვის.

პრომეთეს მღვიმე



მღვიმე მდებარეობს წყალტუბო–ცაგერის მაგისტრალის მარჯვენა მხარეს და წარმოადგენს ევროპის ერთ–ერთ ყველაზე მდიდარ მღვიმეს. იგი ხასიათდება მიწისქვეშა წყლების და ულამაზესი ლანდშაფტების მრავალფეროვნებით. ტურისტებისათვის ფეხით სასიარულო გზა 1060 მეტრის სიგრძისაა. პრომეთეს მღვიმე ერთადერთი მღვიმეა საქართველოში, სადაც ტურისტებს შეუძლიათ მიწისქვეშა ტბაში (280მ) ნავებით გაცურონ უახლოეს ტერიტორიებზე, იქ სადაც სპელეოლოგიური ტურები ეწყობა.

პრომეთეს მღვიმე საერთაშორისო ტურიზმის დონეზე ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. მღვიმეების მთლიანი სიგრძე 15 555 მეტრია. ამასთანავე შესაძლებელია დაიგეგმოს ექსტრემალური ტურები მოყვარულთათვის. ასევე შესაძლებელია 1–დღიანი ტურის მოწყობა ფეხით ან ცხენით (6კმ). ტურისტებს შეუძლიათ ტყეში გასეირნება, მღვიმეების კომპლექსის სტუმრობა. ტურისტული ბანაკების ორგანიზება შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე.

პრომეთეს და სათაფლიის მღვიმეების გარდა იმერეთში აღმოჩენილია 20 სხვადასხვა მღვიმე, რომლებიც ამ ეტაპზე არ არის განვითარებული, მაგრამ კარგ შესაძლებლობებს გვთავაზობს ექტრემალური სახის ტურების გასავითარებლად.

იმერეთის მთავარი მღვიმეები

მუნიციპალიტეტი	დასახელება
წყალტუბო	პრომეთე
	საცხურბლია
	სოლკოტა
	დიდღელე
	მელოური
	ბდერი
	ღლიანა
	თეთრი
	ხმოული
	სათაფლია
თერჯოლა	ნავენახევი
	ნაგარევი
	საკაია
ტყიბული	ცუცხვეთი
ქუთაისი	იაზონი

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ვიზიტორების სტატისტიკა

2011 წელს იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების ჯამურმა რაოდენობამ 168,162 ადამიანი შეადგინა, საიდანაც ადგილობრივებისა და უცხოელთა ხვედრითი წილი თითქმის თანაბარია.

იმერეთის დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების 2011 წლის სტატისტიკა

დაცული ტერიტორიები	უცხოელი	ადგილობრივი	ჯამი
იმერეთის მღვიმეებში ვიზიტორთა რიცხვი	82,415	69,534	151,949

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
მთავარი ღირშესანიშნაობების და მომსახურებების ნუსხა

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ვიზიტორთა რიცხვი	5,430	10,783	16,213
ჯამი	87,845	80,317	168,162

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

სათაფლიის ბუნებრივი ნაკრძალი, პრომეთეს მღვიმე და ბორჯომ-ხარაგაულის პარკის ნაწილი შეადგენენ იმერეთის დაცული ტერიტორიების იმ ნაწილს, რომლებსაც ტურისტული ინფრასტრუქტურა აქვთ განვითარებული და ვიზიტორებს სხვადასხვა ტურებს სთავაზობენ.

სარეკლამო კამპანია და მიმდინარე გეგმები

დაცული ტერიტორიების სააგენტო აქტიურად განიხილავს ტურიზმის პოტენციალის განვითარებას დაცულ ტერიტორიებზე. მათ მიერ გაწეული კამპანიით მოხდა ეროვნულ ნაკრძალებში ტურების პოპულარიზაცია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. შედეგად შესაძლებელია ტურისტული ნაკადების ზრდა და შემოსავლის გენერირება სააგენტოსათვის. დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლების თქმით სათაფლიიდან მიღებულმა შემოსავალმა 2011 წელს რამოდენიმე მილიონი ლარი შეადგინა (წყარო: ინტერვიუ დაცული ტერიტორიების სააგენტოს უფროსის მოადგილესთან ლაშა მოისწრაფიშვილთან). სააგენტოს აქვს მიმზიდველი და ფუნქციონირებადი ვებ-გვერდი და ბროშურა. ქვემოთ წარმოდგენილია 2011 წლის მარკეტინგული ღონისძიებების მოკლე აღწერა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ჩატარებული კამპანია

დაცული ტერიტორია	2011 წლის პრომო- ღონისძიებები	2012 წლისთვის დაგეგმილი პრომო- ღონისძიებები
სათაფლია	- რადიო რეკლამა - სატელევიზიო რეკლამა - გარე-რეკლამა - რეკლამა მონიტორებზე - ონლაინ ბანერები - სოციალური მედია - ბეჭდვითი რეკლამა - ბროშურები - ტურისტული რუკა	- გარე რეკლამა (ავტობუსები) - ბეჭდვითი რეკლამა - ინფო ტურები და გათამაშებები

	- ლიფტები	
პრომეთეს მღვიმე	- რადიო რეკლამა - სატელევიზიო რეკლამა - რეკლამა მონიტორებზე - სოციალური მედია	- გარე რეკლამა (ავტობუსები) - ბეჭვდითი რეკლამა - ინფო ტურები და გათამაშებები
ბორჯომ-ხარაგაულის პარკი	- რადიო რეკლამა - სატელევიზიო რეკლამა - გარე-რეკლამა - რეკლამა მონიტორებზე - ონლაინ ბანერები - სოციალური მედია - ბეჭვდითი რეკლამირება - ბროშურები - ტურისტული რუკა	- ინფო ტურები და ღონისძიებები

წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო

ღვინო და სამზარეულო



იმერეთი სტუმართმოყვარეობით გამოირჩევა. იმერული სამზარეულო საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი საკვებია: იმერული ყველი, ხაჭაპური, ფელამუში, მჭადი, ლობიო და ისპანახი. ხაჭაპური ცნობილი ქართული კერძია, რომელიც მზადდება თხელ ცომში გახვეული ყველით და ცხვება, როგორც ტაფაზე, ასევე კეცზე. საქართველოს თითოეულ მხარეში ხაჭაპურის მომზადების განსხვავებული მეთოდები არსებობს, იმერეთში იგი თხელი და ჰაეროვანია. ფელამუში ქართული ტრადიციული დესერტია, რომლის მირთმევაც შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში. იგი მზადდება ყურძნის წვენისგან, სიმინდის ან ხორბლის ფქვილისგან. ლობიო მზადდება სხვადასხვა სახეობის მარცვლეულისგან (ჩაშუშული ან მოხარშული), შეზავებულია ქინძით, ნიგოზით, ნივრით და ხახვით. მჭადი ეს არის ბურთულა, რომელიც

გამომცხვარია სიმინდის ფქვილით. ეკალა – ეს არის სხვადასხვა სახის ფქვილით მომზადებული ისპანახი.

იმერეთი ასევე ცნობილია მისი ევროპული სტილის დახვეწილი, ცქრიალა ღვინით. ვენახები იმერეთში განლაგებულია მთავარი მდინარეების ხეობებზე. მთავარი ადგილობრივი ვაზის ჯიშებია: ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა და სხვა უიშვიათესი ჯიშები. ამ ვაზების სამშობლოდ ბაღდათის, ვანის და თერჯოლის მუნიციპალიტეტები ითვლება.

ღვინის კეთების უნიკალური სტილი იმერეთში ტრადიციებზე დაყრდნობით განვითარდა. იმერული სტილით გაკეთებული ღვინო განსხვავდება ევროპულისგან თავისი სიმსუბუქითა და სასიამოვნო არომატით.

ვაზის სახეობები იმერეთში მოიცავს: (წყარო: <http://www.vinoge.com/qarTuli-Rvino/imeruli-Rvinis-Sesavali>):

- **თეთრი ღვინის:** ცოლიკაური (რამოდენიმე სახეობა), ციცქა, კრახუნა, ქვიშური, კაპისტონი, დონდლაბი, ბაზალეთური, კუნძა, ტყლაპა, ღრუბელა, მსხვილკუმფხალა, ოხტოურა, წირხვალი, თეთრი კამური საკმაოდ გავრცელებული იყო იმერეთში, რომლისგანაც მზადდებოდა შამპანიურის ტიპის ღვინო.
- **წითელი ღვინის:** ოცხანური საფერე, არგვეთული საფერე (შავა), რკო, ადანასური, ბჟვანურა, გაბეხაური, დიდშავა, შავი დონდლაბი, სხილატუბანი, ალადასტური, ხავერი, კლერტმაგარა, შავი კრახუნა, ობჭური, სამჭაჭა, ვარდისფერი უსახელაური, ჭანკილოური

საბჭოთა კავშირის დროს იმერეთი ცქრიალა ღვინის წარმოებით გამოირჩეოდა, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში არსებულ ქარხანაში იწარმოებოდა. სსრკ-ის დაშლის შემდგომ საწარმომ მძიმე პერიოდი გამოიარა და საბოლოოდ შეწყვიტა ფუნქციონირება. იგი ამჟამად სახელმწიფოს საკუთრებაში იმყოფება და სამწუხაროდ არ მოიძიება უფრო დეტალური ინფორმაცია მის შესახებ.

საქართველოში სულ რამოდენიმე კომპანიაა, რომელიც აწარმოებს და აწვდის იმერულ ღვინოს ბაზარს. იმერული ღვინის კომპანია და ღვინის ქარხანა „ხარება“ წარმოადგენენ ორ წამყვან ღვინის მწარმოებლებს იმერეთიდან.

ტურიზმის საინფორმაციო ცენტრზე დაყრდნობით, იმერეთში დაახლოებით 28 ღვინის ქარხანა და ღვინის კომპანიაა დარეგისტრირებული, მათი უმეტესობა თერჯოლისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში გვხვდება.

ღვინის ქარხნები იმერეთში

მუნიციპალიტეტები	ღვინის ქარხნების და კომპანიების რაოდენობა
თერჯოლა	6
ბაღდათი	4

ზესტაფონი	10
ხარაგაული	1
ვანი	4
საჩხერე	1
ჭიათურა	1
წყალტუბო	1

წყარო: ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი

იმერეთის არამატერიალური რესურსები

მითოლოგია– ოქროს საწმისი

იმერეთს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ითვლება, რომ იგი რეგიონისათვის უძლიერეს არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს. იმერეთის ისტორია 3500 წლის წინადა დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ არსებობდა კოლხეთის სამეფო უნიკალური კულტურით, განათლებით, პოლიტიკური და სამხედრო სისტემით. კოლხეთი იყო ლეგენდარული ოქროს საწმისის სამშობლო – ეს იყო მიწა, სადაც იასონი და არგონავტები ოქროს საგანძურის სამეზნელად ჩავიდნენ.

ოქროს საწმისის ძებნისას ძველი ბერძნების ექსპედიციამ საკმაოდ ღირებული ინფორმაცია მოგვაწოდა მაშინდელი ქართველი ტომების, მათი კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და წამლების შესახებ. ამ ტერიტორიას კვეთდა უამრავი სავაჭრო გზა (მათ შორის აბრეშუმის გზა), რაც ხელს უწყობდა კულტურის და ვაჭრობის განვითარებას. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი მასალები მოწმობს, რომ პირველი ადამიანი იმერეთში ადრეული პალეოლითის ხანაში ცხოვრობდა. ყველაზე საინტერესო მაინც ვანია, რომელიც ვარაუდით, ძვ.წ. მე-8 საუკუნეში უკვე არსებობდა. იგი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს უმნიშვნელოვანეს ქალაქს.

ტრადიციები

იმერეთი ყოველთვის ცნობილი იყო დიდად განვითარებული სულიერი და ოჯახური კულტურით, რომელიც მიიჩნევა, რომ ძველი კოლხეთის ზეგავლენით შეიქმნა. იმერეთში განვითარდა მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა და მებაღეობა. ყველაზე მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის სექტორებს შორის იყო მეღვინეობა, მარცვლეულის კულტივაცია და ხეხილის ბაღები. საქართველოს ეს მხარე ღვინის უნიკალური ნაირსახეობებით ხასიათდება და ნათლად ჩანს, რომ ღვინის წარმოება უძველესი დროით თარიღდება. ღვინის კეთების ხელოვნების დაუფლებისკენ სწრაფვა ნათლად ჩანს უძველესი ღვინის შესანახი ჭურჭლებიდან, ყურძნის საწურებისგან, ღვინის

დამზადების შემორჩენილი წესებისგან და ქართული მაგიდის ტრადიციებიდან იმერეთში.

იმერეთის სოფლები საკმაოდ მრავალფეროვანია და თავისი განსაკუთრებული შარმით გამოირჩევა. დღესასწაულები და გართობა იმერელი ხალხის განუყოფელი ნაწილია, სადაც სიმღერა სადღესასწაულო სუფრის უმთავრესი ელემენტია. თანამედროვე სიმღერების გიტარის თანხლებით შესრულება სათავეს იმერეთიდან იღებს. ახლაც ხალხური მრავალხმიანი, ლირიული და მხიარული სიმღერები იმერეთის ფესტივალებზე ყოველთვის სრულდება. საკმაოდ ბევრი ხალხური ტრადიცია და რიტუალია შემონახული იმერეთში. იმერელი ხალხი ძალიან სტუმართმოყვარეა.

ფოლკლორი

იმერეთის რეგიონი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარზე მდებარეობს და ორ დიდ ნაწილად იყოფა - ზემო იმერეთი და ქვემო იმერეთი. ორივე მხარეს თავისი განმასხვავებელი ნიშნები აქვთ. იმერეთის ფოლკლორი აღმოსავლურ (ქართლი-კახეთი) და დასავლურ (გურია-სამეგრელო) ინდივიდუალიზმს აერთიანებს. იმერეთი ცნობილია თავისი სიმღერებით, რომლებიც სამ ხმაში სრულდება. იმერეთის ტრადიციული სამუსიკო ხელოვნება ორ ნაწილად იყოფა - სოფლის (გლეხური სტილი) და ქალაქური მუსიკა, რომელიც ევროპული კლასიკური მუსიკის გავლენით XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ქუთაისში ნაციონალური ფოლკლორული ცენტრის ფილიალს ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი ექვემდებარება. გარდა ამისა ზემო და ქვემო იმერეთის რაიონულ ცენტრებში უხვადაა საბავშვო და ახალგაზრდული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.

სამზარეულო

იმერულ სამზარეულოში ნიგოზს საკმაოდ ფართო გამოიყენება აქვს. იმერული საჭმელი თიხის ჭურჭელში მზადდება, მცენარეებთან ერთად. იმერული კერძებია ხაჭაპური, საცივი და ფხალი.

3 განთავსების საშუალებები

განთავსების საშუალებების ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიხედვით, იმერეთში ჯამში 68 სხვადასხვა ტიპის განთავსების საშუალებაა, ესენია: სასტუმროები, სასტუმროს ტიპის სახლები, საოჯახო სასტუმროები და სანატორიუმები. 68 განთავსების საშუალებიდან 33 სასტუმროა, 3-სასტუმროს ტიპის სახლი, 28-საოჯახო სასტუმრო და 4 სანატორიუმი. სასტუმროების შორის არც ერთი არ ეკუთვნის საერთაშორისო სასტუმროთა ქსელს და მათი უმეტესობა 3 ვარსკვლავზე ნაკლებით კლასიფიცირდება. მხოლოდ 9 სასტუმროს შეიძლება მიენიჭოს 3 ვარსკვლავი ადგილობრივი კლასიფიკაციით, ისეთებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხარისხიან სერვისს სთავაზობენ სტუმრებს. სასტუმროების ზომა საკმაოდ მცირეა და მათი უმეტესობა 50 ოთახს არ აღემატება. მხოლოდ მცირე გამოწვევისაა საირმეს სასტუმრო, რომლის რეაბილიტაცია ახლახანს მოხდა და იგი მოიცავს 150 ოთახს, და წყალტუბოს სპა-კურორტი, რომელშიც 104 ოთახია.

განთავსების საშუალებები იმერეთში

			სასტუმროები				
#	მუნიციპალიტეტი	სასტუმროების რაოდენობა	3*-ზე მეტი	ადგილობრივი 3*	3*-ზე ქვემოთ	სასტუმროს ტიპის სახლები	სხვა საცხოვრებელი ადგილები
1	ქუთაისი	18	0	7	11	3	15
2	ზესტაფონი	1	0	0	1	0	1
3	წყალტუბო	6	0	0	6	0	1
4	ბაღდათი	3	0	2	1	0	2
5	სამტრედია	1	0	0	1	0	0
6	ტყიბული	1	0	0	1	0	9
7	საჩხერე	1	0	0	1	0	0
8	ჭიათურა	1	0	0	1	0	1
9	ხონი	1	0	0	1	0	0
10	თერჯოლა	0	0	0	0	0	1
11	ვანი	0	0	0	0	0	1
12	ხარაგაული	0	0	0	0	0	1
	ჯამი	33	0	9	24	3	32

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ის ანალიზი

სარეკლამო მასალების თვალსაზრისით სასტუმროებს, ჩვეულებრივ, შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. მხოლოდ დიდ სასტუმროებს აქვთ ბროშურები და ინტერნეტ ვებ-გვერდები, ამ უკანასკნელთ კი არ გააჩნიათ ონლაინ რეზერვაციების ფუნქცია. თუმცა არის რამოდენიმე სასტუმრო იმერეთში, რომლებიც ყველაზე მსხვილ ონლაინ შეკვეთების საიტებზე გვხვდება, ეს საიტებია lonelyplanet.com და tripadvisor.com.

იმერეთის მთავარი სასტუმროები

იმერეთის მთავარი სასტუმროები

სასტუმრო	ადგილმდებარე ობა	ოთახების რაოდენობა	ხარისხი	სტანდარტული ოთახის ფასი (ერთსაწოლიანი/ ორსაწოლიანი)
სასტუმრო საირმე	საირმის კურორტი	150	ადგილობრივი 3*	120/140 ლარი
სასტუმრო სპა ოაზისი	წყალტუბო	110	ადგილობრივი 3*	180/150 ლარი
სასტუმრო ბაგრატი 1003	ქუთაისი	16	ადგილობრივი 3*	140/180 ლარი
სასტუმრო რჩეული	ქუთაისი	15	ადგილობრივი 3*	105/135 ლარი
სასტუმრო აიეტის სასახლე	ქუთაისი	13	ადგილობრივი < 3*	100/150 ლარი
სასტუმრო ძველი ქუთაისი	ქუთაისი	10	ადგილობრივი 3*	100/130 ლარი
სასტუმრო იმპერია	ქუთაისი	25	ადგილობრივი 3*	120 ლარი

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ის ანალიზი

ქუთაისის ყველაზე პოპულარული სასტუმროებია: სასტუმრო „ბაგრატი 1003“, „ძველი ქუთაისი“, „აიეტის სასახლე“, „ძმები“, „დიპლომატი“, „იმერი“. სასტუმრო „იმერის“ გარდა ყველა სასტუმრო ქალაქ ქუთაისის ცენტრში მდებარეობს. ოთახის ფასი 80-დან 250 ლარამდე მერყეობს.


იმერეთის სასტუმროები საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი სამოგზაურო საიტებზე. ამ ფაქტის აღსანიშნავად იხილეთ ქვემოთ მოტანილი ცხრილი.

იმერეთის სასტუმროები ონლაინ რეზერვაციების სისტემებში

ონლაინ გვერდები	სასტუმრო	ქალაქი
www.tripadvisor.com	- აიეტის სასახლე - სასტუმრო რჩეული პალასი - სასტუმრო გორა - სასტუმრო კოლხა - იმერეთი პარკ ჰოთელი - ბაგრატი 1003	ქუთაისი
www.booking.com	- სასტუმრო კოლხა - იმერეთი პარკ ჰოთელი - სასტუმრო რჩეული პალასი	ქუთაისი

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ის ანალიზი

სასტუმრო „ბაგრატი 1003“



ამ პროექტის ფარგლებში ჩატარებულმა გამოკითხვებმა გვიჩვენეს, რომ სასტუმრო „ბაგრატი 1003“ ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ ითვლება მთლიანად იმერეთის რეგიონში. სასტუმრო მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე ქ. ქუთაისში. სასტუმროში საკმაოდ კვალიფიციური პერსონალია. დასავლეთ საქართველოს მასშტაბით სასტუმრო „ბაგრატის“ სერვისიც უპირველესია. სასტუმროს 16 მყუდრო და კომფორტული ოთახი აქვს, მათ შორის საპრეზიდენტო აპარტამენტი. სასტუმრო გვთავაზობს ქართული და ევროპული სამზარეულოს კერძების ნაირსახეობას. ოთახები აღჭურვილია ცენტრალური გათბობით, თხევადკრისტალური (LCD) ტელევიზორებით, მინი-ბარით, სატელეფონო Wi-Fi-ით, ინტერნეტით და საპაერო კონდიციონერით.

სასტუმროს აღჭურვილობა და მომსახურება ასევე მოიცავს: აეროპორტის დახვედრა-გაცილებას, 24 საათიან მიღებას და მომსახურებას, რესტორანს, საკონფერენციო დარბაზს, ბიზნეს შეხვედრებისათვის საჭირო აღჭურვილობას, ინტერნეტს (Wi-Fi) ყველა ოთახში, სამრეცხაოს, ჰაერის კონდიციონერებს, სატელევიზორ ტელევიზიას, პრინტერს, სკანერს და ლეპტოპს, ლიფტს, სილამაზის სალონს და ბარს. სასტუმრო წარმოდგენილია ონლაინ დაჯავშნის სისტემების ისეთ ვებ-გვერდზე, როგორიცაა tripadvisor.com.


სასტუმრო „საირმე“



3-ვარსკვლავიანი სასტუმრო „საირმე“ ფუნქციონირებს საირმის კურორტზე, რომელიც ქუთაისის სამხრეთით მდებარე თვალწარმტაც ხეობას წარმოადგენს. სასტუმროს მართავს საირმის სასტუმროების და კურორტის კომპანია. მისი ძირითადი მთავარი ღირშესანიშნაობაა მისი ბუნება და რბილი, მინერალური წყლები, რომლებსაც იშვიათი ქიმიური შენარევები აქვთ. სიტყვა „საირმე“ – „ირმების ადგილს“ ნიშნავს. ლეგენდის მიხედვით ირმები და გარეული თხები შემოგარენი ტყეებიდან ამ ადგილას მოდიოდნენ. ისინი იკრიბებოდნენ მინერალური წყლების სათავესთან, სწორედ ამიტომ მონადირეებმა ამ ადგილს საირმე უწოდეს. საირმის კურორტი ცნობილია მისი თერმული წყლებით.

ვებ-გვერდის შესწავლიდან გამომდინარე სასტუმრო „საირმეში“ ოთახები კომფორტული და მყუდროა. ოთახები აღჭურვილია პლაზმური ტელევიზორებით, მინი-ბარით, სწრაფი ინტერნეტით და თანამედროვე აქსესუარებით, რომლებიც სასტუმროს ინტერიერს უფრო კომფორტაბელურს ხდის. უფრო საინტერესოა ფასი, რომელიც მაქსიმალურად ერგება ტურისტების ინტერესებს. ყველა ოთახში მოთავსებულია ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია და თითოეული მათგანი აღჭურვილია სახანძრო სიგნალიზაციის სისტემით. სასტუმროში ჯამში 150 ოთახია სულ 390 სტუმრისათვის. ზოგადად, კურორტს შეუძლია ერთდროულად 800 ვიზიტორს უმასპინძლოს. სასტუმრო ასევე აღჭურვილია ადგილით, სადაც ვიზიტორებს შეუძლიათ საირმის მინერალური წყლის დაგემოვნება, რომელიც უნიკალური თვისებებით ხასიათდება. სასტუმროს კომპლექსს 24 საათის განმავლობაში ემსახურება მაღალ-კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, აქვე მოწყობილია სტომატოლოგიური, სადიაგნოზო კაბინეტები და ლაბორატორია. კომპანია გეგმავს გაფართოებას და არსებული ოთახებისათვის ახალი ოთახების მიმატებას უახლოეს მომავალში. სასტუმრო, ამჟამად უკვე წარმოდგენილია ონლაინ შეკვეთების სისტემებში.

სასტუმრო „აიეტის სასახლე“



სასტუმრო „აიეტის სასახლე“ მდებარეობს ქუთაისის ცენტრში, ქალაქის მუზეუმის ტერიტორიაზე. სასტუმრო თეთრი ხიდიდან 2 წუთის სავალზეა. ვებ-გვერდის მიხედვით, სასტუმრო ვიზიტორს სთავაზობს მყუდრო და კომფორტულ ოთახებს და გემრიელ სამზარეულოს საჭმლის უამრავი სახეობით და უნიკალური ქართული ღვინის ფართო ასორტიმენტით. სასტუმრო 13

ოთახისაგან შედგება. თითოეულ ოთახს აქვს თანამედროვე პირობები, როგორცაა სატელიტური ტელევიზია, მაღალი სიხშირის ინტერნეტი, ტელეფონი, მაცივარი, ბარი და საწერი მაგიდა. სასტუმროშივეა საკონფერენციო დარბაზი 30 ადამიანისთვის, რომელიც აღჭურვილია პროექტორით, ეკრანით, ფლიპჩარტებით, დაფით, თხევადკრისტალური პროექტორით, სინქრონული თარგმანისთვის საჭირო სისტემით, მიკროფონებით, საგამოყენო სტენდებით. სასტუმრო წარმოდგენილია ონლაინ შეკვეთების სისტემაში - www.tripadvisor.com.

სასტუმრო „რჩეული სასახლე“



ქალაქ ქუთაისში მდებარე სასტუმრო „რჩეული სასახლე“ ვიზიტორებს 15 კომფორტულ ოთახს სთავაზობს საკონფერენციო დარბაზით და 300 კაციანი რესტორნით. „რჩეული“ პირველი ქართული სასტუმროების ქსელია, რომელიც სასტუმროებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მართავს. სასტუმროთა ქსელი დაარსდა 2007 წელს და ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი სწრაფად მზარდი კომპანია. ქსელი საქართველოს მასშტაბით 4 ქალაქშია წარმოდგენილი. ქუთაისის ცენტრში მდებარე სასტუმროს 24 საათიანი მიღება აქვს, უფასო Wi-Fi და რესტორანი, რომელიც ქართულ კერძებს ამზადებს. ქუთაისის რკინიგზის სადგური სასტუმროდან 5 კმ-შია.

ოთახები სასტუმრო „რჩეულ პალასში“ ნათელი ინტერიერით და გლუვი ავეჯით გამოირჩევა. ყველა ოთახშია ბრტყელეკრანიანი ტელევიზორი, სამუშაო მაგიდა და მაცივარი. სასტუმროს რესტორანი უზრუნველყოფილია სასაუზმე ბუფეტით. ოთახის აღჭურვილობაში შედის გორგოლაჭებიანი საწოლი, სააბაზანოში თმის საშრობი და ტელეფონი. სასტუმრო წარმოდგენილია ონლაინ დაჯავშნის სისტემებში tripadvisor.com და bookings.com.

დაგეგმილი სასტუმროები

იმერეთში იგეგმება რამოდენიმე სასტუმროს მშენებლობა. ადგილობრივ ინვესტორთა ჯგუფმა შეისყიდა ყოფილი სასტუმრო წყალტუბოში და გეგმავს მის განვითარებას, რომლის მართვასაც სავარაუდოდ საერთაშორისო სასტუმროთა ქსელი – Holiday Inn გაწევს. აღნიშნულმა ჯგუფმა საკმაოდ წარმატებულად მოახერხა თბილისში სასტუმრო Holiday Inn-ის გახსნა და იმედოვნებს, რომ იმერეთშიც შეძლებს მსგავსი ხარისხის მიტანას.

ინვესტორთა ჯგუფმა ისრაელიდან შეისყიდა შენობა ქუთაისის ცენტრში, ძველი ქალაქის გვერდით და გეგმავს სასტუმროს გახსნას ამ შენობაში, თუმცა მათი კონკრეტული გეგმის შესახებ დამატებითი ინფორმაცია არ მოიპოვება.

ისტორიულად, საბჭოთა კავშირის პერიოდში (1989 წლისთვის), წყალტუბოს 22 სანატორიუმი (5800 საწოლი) ჰქონდა და ყოველწლიურად 500,000 ვიზიტორს იღებდა. იმერეთის მთავრობამ ყოფილი სანატორიუმის პრივატიზაციის გეგმების შესახებ უკვე გააკეთა განცხადება. გუბერნატორის ოფისის მიხედვით მათ უკვე მიიღეს საკმაოდ კონკურენტუნარიანი სატენდერო წინადადებები აუქციონზე გატანილ უძრავ ქონებაზე და გამარჯვებულებსაც მოკლე დროში გამოაცხადებენ (წყარო: ინტერვიუ იმერეთის გუბერნატორის მოადგილესთან, გიორგი აბესალაშვილთან). ეს რა თქმა უნდა, იმერეთის სასტუმროების მარაგს კიდევ ერთ, მაღალი ხარისხის სასტუმროს შემატებს.

სასტუმროს ტიპის სახლები

ქუთაისში სასტუმროს ტიპის სახლების შეზღუდული რაოდენობის მიუხედავად, მათი ხარისხი მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად ითვლება. ისტორიულად, ისინი საოჯახო ტიპის საცხოვრებლებიდან წარმოიშვა და დროის განმავლობაში წარმატებულ, სასტუმროს ტიპის სახლად იქცნენ, რომელებიც ვიზიტორებს ხელმისაწვდომ განთავსების საშუალებას სთავაზობს მასპინძლობის სათანადო დონით.

იმერეთში, ჯამში 4 სასტუმროს ტიპის სახლია და ყველა მათგანი ქუთაისში მდებარეობს. ესენია: „აგრო-პალასი“, „გორა“, „ბექა“ და „ელეგანტი“. თითოეული მათგანი სულ ცოტა 15 წელია რაც ფუნქციონირებს. სასტუმროს ტიპის სახლების უმეტესობა მდებარეობს ქუთაისის ისტორიულ ნაწილში – გორაზე, ბაგრატიის ტაძართან და გასართობ-რეკრეაციულ პარკთან ახლოს. ფასები სასტუმროს ტიპის სახლებში 30–დან 45 ლარამდე იცვლება.

განთავსების საშუალებების სხვა სახეები

სასტუმროების და სასტუმროს ტიპის სახლების გარდა, გვხვდება შეზღუდული რაოდენობის საოჯახო ტიპის განთავსების საშუალებები. მათი უმეტესობა ქუთაისსა და ტყიბულშია კონცენტრირებული. მათ შეუძლიათ განთავსების საშუალებით დაბალშემოსავლიანი ვიზიტორები უზრუნველყონ. საცხოვრებლის ხარისხი შესაბამისად დაბალია. ასეთ ადგილებში ოთახის ფასი 20 ლარიდან იწყება.

საქართველოს პარლამეტის იმერეთში გადატანამ სხვა ტიპის საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის საკითხი წამოჭრა. წყალტუბოს მახლობლად იგეგმება პროექტი, რომელიც ითვალისწინებს განთავსების საშუალებების მშენებლობას პარლამეტის წევრებისათვის.

4 კვების ობიექტები და გართობა

კვების ობიექტები იმერეთში

იმერეთში ჯამში 94 კვების ობიექტია. მათი უმეტესობა ქუთაისში მდებარეობს (16). კვების ობიექტებიდან 48–რესტორანი, 31–კაფე და 15–ბარია.

კვების ობიექტების განაწილება იმერეთში

ქალაქი	კაფე/სწრაფი კვების ობიექტი	ბარი	რესტორანი
ქუთაისი	18	14	16
თერჯოლა			2
საწირე			2
ტყიბული	3	1	1
წყალტუბო	2		
ხონი	2		4
ფარცხანაყანები			1
ქვილიშორი			1
სამტრედია			6
ზესტაფონი	2		5
ვანი			1
საირმე	1		
ბაღდათი			1
უბისა			1
ხარაგაული	1		4
ჭიათურა			2
საჩხერე	2		1
ჯამი	31	15	48

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ის ანალიზი

იმერეთში მხოლოდ რამოდენიმე რესტორნის ქსელია, მათ შორისაა – მირზაანი. ქუთაისის ცენტრში სწრაფი კვების ობიექტი – მაკდონალდსი მდებარეობს. ამის გარდა, ქუთაისის „ძველ ქალაქში“ უამრავი კაფე და ბარია, სადაც ტურისტებს სადამოს გატარება შეუძლიათ. ქალაქში მხოლოდ ერთი ღამის კლუბია – რადიუმი, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ცნობილ ხიდთან.

იმერეთის მთავარი კვების ობიექტები

დასახელება	ადგილები	ქალაქი	რესტორანი/კაფე/ბარი	საკვების ტიპი	მენიუს საშუალო ფასი ერთ ადამიანზე	პლასტიკური ბარათით გადახდის შესაძლებლობა
ბაგრატი 1003	200	ქუთაისი	რესტორანი	ქართული და ევროპული	30	დიახ
მირზაანი	200	ქუთაისი	რესტორანი	ქართულ-ტრადიციული	10	დიახ
ედემი	150	ქუთაისი	რესტორანი	ქართულ-ტრადიციული	30	დიახ
თაღლაურა	40	ქუთაისი	რესტორანი	ქართული და ევროპული	10	დიახ
მაკდონალდსი	70	ქუთაისი	რესტორანი	სწრაფი კვება	7	არა
დელიკატესები	80	ქუთაისი	ბარი	ქართულ-ტრადიციული	15	დიახ
ბარაქა	70	ქუთაისი	კაფე	ქართული და ევროპული	15	არა
თეთრი ქვები	20	ქუთაისი	კაფე	ქართული და ევროპული	10	არა
ფლამინგო	60	ქუთაისი	კაფე	ევროპული	5	დიახ
ევროპა +	80	ქუთაისი	ბარი	ქართული და ევროპული	20	არა
ნიკალა პაპა	80	ქუთაისი	ბარი	ქართული	10	არა
ლუდის მოედანი	40	ქუთაისი	ბარი	ქართული და ევროპული	10	არა

წყარო: ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და TBSC-ის ანალიზი

სხვა გასართობი ადგილები

იმერეთში 7 თეატრია საიდანაც 3, მათ შორის ოპერის სახლი, ქუთაისში მდებარეობს. ოპერის სახლის განახლება ახლახანს მოხდა და იგი ღიაა წარმოდგენებისათვის. ქუთაისში არ არის კინო-თეატრი. იმერეთის ერთადერთი ფუნქციონირებადი კინოთეატრი საჩხერეში მდებარეობს.

სავაჭრო შეთავაზება



სუვენირებით ვაჭრობა იმერეთში ფორმალური გზით არ ხდება და წარმოდგენილია მცირე, დაბალტექნოლოგიური მწარმოებლებით და მომწოდებლებით. ერთადერთი მეტ-ნაკლებად ორგანიზებული სუვენირებით მოვაჭრე ადგილი იმერეთის სოფელი შროშაა, რომელიც ფართო ასორტიმენტის ხელნაკეთ თიხის დოქებს, ჯამებს და სხვა ჭურჭელს სთავაზობს მყიდველებს.

5 ტურ ოპერატორები

შემომყვანი ტურ ოპერატორების ნუსხა

ტურ ოპერატორების ანალიზი ეყრდნობა 6 წამყვანი შემომყვან ტურ ოპერატორის წარმომადგენლებთან ინტერვიუს, რომელიც ასევე მოიცავს მათი სარეკლამო მასალების ანალიზსაც. ეს სარეკლამო მასალებია კომპანიების ბროშურები და ვებ-გვერდები.

საქართველოს ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში დაახლოებით 90-მდე შემომყვანი ტურ ოპერატორია დარეგისტრირებული. წამყვანი კომპანიები შემომყვანი ტურ ოპერატორების ასოციაციის წევრები არიან. ზოგიერთი წამყვანი ტურ ოპერატორი წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ძირითადი ეროვნული შემომყვანი ტურ ოპერატორები

ქვეყნის მასშტაბით მოქმედი ტურ ოპერატორები	2011 წელს ტურისტების რიცხვი	მუდმივი პერსონალი	პასუხისმგებელი პირი	იმიელი/ვებ-საიტი
კონკორდ თრეველი	6,800	28	გიორგი ფარულავა T: 599 18 37 97	gparulava@concordtravel.ge www.concordtravel.ge
ვიზიტ ჯორჯია	3,500	35	ალექსი მამულაშვილი T: 599 55 89 98	incoming@visitgeorgia.ge www.visitgeorgia.ge
ჯორჯიკა თრეველ	3,000	10	გიორგი კალანდაძე T: 599 56 43 82	info@georgicatravel.ge www.georgicatrave.ge
კავკასუს თრეველ	3,000	18	მაია ხუბულური T: 595 33 07 70	Georgia@caucasustravel.com www.caucasustravel.com
ეგზოტური	1,000	6	ნიკო ყულუაშვილი T: 599 58 56	info@exotour.ge www.exotour.ge

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
მთავარი ღირშესანიშნაობების და მომსახურებების ნუსხა

			56	
შ.პ.ს. ექსპლორ ჯორჯია	1,000	10	ნიკა ერქომაიშვილი T: 599 55 74 00	info@exploregeorgia.com www.exploregeorgia.com
ჯორჯიან დისქვერი თურს	450	8	გია ალიაშვილი T: 599 51 22 44	www.gtd.ge info@gtd.ge

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო, TBSC –ის ანალიზი, ინტერვიუ წამყვან ტურ
ოპერატორებთან

იმერეთის პოზიციონირება ტურ ოპერატორების შეთავაზებებში

ქვემოთ მოცემულია იმერეთის შერჩეული ტურების სია და მოკლე აღწერა.

ტიპიური შეთავაზებები, რომლებიც მოიცავენ იმერეთს

ტურის დასახელება	კომპანია	ტურის ხანგრძლივობა	ხანგრძლივობა იმერეთში	სტუმრობისთვის გათვალისწინებ ული ადგილები იმერეთში
„საოცრებების ქვეყანა“	ვიზით ჯორჯია	15 დღე	1 დღე / 1 ღამე	გელათის მონასტერი ბაგრატის ტაძარი წყალტუბოს მღვიმეები
„ოქროს საწმისის მიწა“	კავკასუს თრეველი	12 დღე	1 დღე / 1 ღამე	გელათის მონასტერი ბაგრატის ტაძარი

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
მთავარი ღირშესანიშნაობების და მომსახურებების ნუსხა

„პირველი ევროპელები და ადრინდელი ქრისტიანები“ (მდიდარი და უძველესი ცივილიზაცია)	ჯორჯიან დისკვერი თოურს	8 დღე	2 დღე / 2 ღამე	გელათის მონასტერი
---	------------------------------	-------	----------------	----------------------

წყარო: TBSC –ის ანალიზი, ინტერვიუ წამყვან ტურ-ოპერატორებთან

ტურ ოპერატორების მიერ შემოთავაზებულ ტურისტულ პაკეტებში იმერეთის ჩართვის მიზეზი ორმაგია: პირველი ის, რომ ტურისტულ ღირშესანიშნაობებს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა გააჩნიათ, რაც ხელს უწყობს საქართველოს სხვა მხარეში (მაგ; სვანეთში ან აჭარაში) მიმავალ ტურისტებს მოინახულონ იმერეთის ღირშესანიშნაობები. მეორე – იმერეთს აქვს ორი საკმაოდ მნიშვნელოვანი ძეგლი – ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი, რომლებიც UNESCO-ს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სტატუსით სარგებლობენ. ტურ-ოპერატორები ძირითადად ამ ორ ღირშესანიშნაობას განათავსებენ სარეკლამო მასალებზე. იმერეთის პოზიციონირება სარეკლამო მასალებზე მისი კულტურული კონტექსტის გავლენით ხდება.

იმერეთის ტურებში ჩართულობის შეფასება

ტურის სახეობა	იმერეთის ჩართულობის ზომა	ჩართულობის ბუნება
ისტორიული/კულტურული	მაღალი (ყველა ისეთი ტიპის ტურებში, რომლებიც 4-5 დღის განმავლობაში გრძელდება)	პირველადი (გელათის და ბაგრატის UNESCO-ს მემკვიდრეობის სტატუსის გამო)
გასტრონომიული ტურები	საშუალო	მეორადი (იმერული სამზარეულო ზემო იმერეთში)
ღვინის ტურები	საშუალო	მეორადი (რაჭაში მიმავალი გზის მახლობლად მდებარეობის გამო)
ქალაქის ტურები	საშუალო	პირველადი (ქალაქ ქუთაისის მნიშვნელოვნების და ბათუმისკენ მიმავალ გზასთან ახლოს მდებარეობის გამო)
მთები/თრექინგი	დაბალი	მეორადი (სვანეთში მიმავალ გზაზე მდებარეობა)

იმერეთში (საქართველო) ტურიზმის განვითარების მარკეტინგული სტრატეგია
მთავარი ღირშესანიშნაობების და მომსახურებების ნუსხა

ბუნება	დაბალი	პირველადი (ბორჯომ-ხარაგაულის პარკის და საირმის ხეობა)
მღვიმეები და მონასტრები	დაბალი	მეორადი
ეკო-ტურები	დაბალი	პირველადი (ბორჯომ-ხარაგაულის პარკი)
ტურები ჯიპით	დაბალი	მეორადი (სვანეთში მიმავალ გზაზე მდებარეობა)
რეგიონალური ტურები (საქართველო და სომხეთი)	დაბალი	პირველადი (გელათის და ბაგრატის UNESCO-ს მემკვიდრეობის სტატუსის გამო)
ფრინველებზე დაკვირვება	დაბალი	-

წყარო: TBSC-ის ანალიზი

სარეკლამო მასალებში ინტენსიურად არის წარმოჩენილი არგონავტების შესახებ ლეგენდა, რომლის მთავარი ადგილი იმერეთი იყო წარსულში. ზოგიერთი მასალა ქუთაისის და იმერეთის მოკლე აღწერასაც იძლევა.

ადგილობრივი ტურ ოპერატორები იმერეთში

ქვეყნის მასშტაბით მოქმედ ტურ ოპერატორების გარდა, იმერეთის რეგიონში რამოდენიმე ტურ ოპერატორი ფუნქციონირებს. მათი დიდი ნაწილი ქუთაისშია. მათ შესახებ ინფორმაცია ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებში არსებულ ბროშურებშია განთავსებული. იმერეთში სულ 6 ტურ ოპერატორია რეგისტრირებული.

იმერეთში რეგისტრირებული შემომყვანი ტურ ოპერატორები

ადგილობრივი იმერული ტურ ოპერატორები	ტურისტების რაოდენობა 2011 წელს	მუდმივი მომუშავე პერსონალი	პასუხისმგებელი პირი	იმეილი/ვებ-გვერდი
კოლხა-ტური	17	3	ირაკლი ნოსელიძე დირექტორი	info@kolkhatour.ge www.kolkhatour.ge
ვონდერლენდი	–	6	ლამა ბერეკაშვილი ოფისის მენეჯერი	info@wonderland.ge www.wonderland.ge
მედეა ტური XXI	–	10	ანა ლემონჯავა დირექტორის მოადგილე	medeatour21@yahoo.com info@medeatour.com www.medeatour.com
მოგზაური 2011	–	4	ბექან ქუთათელაძე დირექტორი	tskhaltubo1@gmail1.com www.tskhaltubo.com
გელათი თრეველ	–	1	ნოდარ მაკანდარაშვილი დირექტორი	admin@reservetour.com www.reservetour.com
გელათი	–	4	გურამ მერკვილაძე დირექტორი	Natela4@yahoo.com

წყარო: ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, TBSC-ის ანალიზი, ინტერვიუ ადგილობრივ ტურ-ოპერატორებთან

ადგილობრივი ტურ ოპერატორების უმეტესობა ბიზნესის განვითარების პროცესში (მათმა უმეტესობამ ვერ შეძლო გასულ წელს მომსახურებული ტურისტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება), თუმცა ამ წლისთვის ისინი თავიანთი საქმიანობის გააქტიურებას აპირებენ. ადგილობრივ ოპერატორებს მეტ-ნაკლებად ფუნქციონირებადი ვებ-გვერდები აქვთ, ძირითადად სამ ენაზე და ასევე მათ შეთავაზებაშია, არა მხოლოდ იმერეთის, არამედ საქართველოს მასშტაბით ტურები.

იმერეთის მომცველი ტურის მაგალითები

ადგილობრივი ტურ ოპერატორი	ტურის სახელი/სახეობა	ვიზიტისთვის გათვალისწინებული ღირშესანიშნავი ადგილები იმერეთში	დამსთვეთ დარჩენა იმერეთში
კოლხა ტური	- იმერეთის ლანდშაფტები	ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეა კაცხის სვეტი, მოდინახეს ციხე-სიმაგრე	1
ვონდერლენდი	- ღვინის ტური - მთელი საქართველო ერთ ტურში - ქალაქის ტური	გელათი, მოწამეთა, ბაღდათი, წყალტუბო, პრომეთეს მღვიმე და სტალინის აბანო, სათაფლია, ვანი	1
მედეატური XXI	- სპელეოლოგიური ტური - კულტურული ტური - არქეოლოგიური ტური - ვანის ტიციან ტაბიძის მუზეუმი - ნოქალაქი-გეგუთი	სათაფლია, პრომეთეს მღვიმე, გელათი, მოწამეთა, ბაღდათი, საჩხერე, კაცხის სვეტი	1
მოგზაური 2011	- წყალტუბო და საზღვაო ტურები - წყალტუბოს სამკურნალო ტური	გელათი, მოწამეთა, პრომეთეს მღვიმე, სათაფლია	1
გელათი თრეველ	- ქართული ღვინის აკვანი (მოიცავს: კახეთს, იმერეთს, რაჭას და გურიას)	ვანის მუზეუმი, სათაფლია, ბაგრატის, გელათი, ღვინის დაგემოვნება ბაღდათის სოფლებში	1
გელათი	- ისტორია და კულტურა	გელათი, მოწამეთა, კაცხის სვეტი, გეგუთი	1

წყარო: TBSC-ის ანალიზი

6 კურორტები და სპა ობიექტები

კურორტების და სპა-კურორტების ზოდადი მიმოხილვა

რეკრეაციული და სპა კურორტები იმერეთში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იგეგმებოდა. მათი უმეტესობა გათვლილი იყო დაბალი ხარჯისა და შესაბამისი დონის კომფორტისათვის (გამონაკლისის სახით წყალტუბო). შესაბამისად ამჟამად სპა-კურორტების ინფრასტრუქტურის დონე თანამედროვე ბაზრის მოთხოვნებს არ შეესაბამება. ზოგიერთი ადგილი (მაგალითად, საირმე) აღდგენილ იქნა, თუმცა დიდი პოტენციალი ჯერ კიდევაც განუვითარებელია. იმერეთის კურორტების უპირატესობებია ბალნეოლოგიური და მინერალური წყლები, კლიმატი, ლამაზი ბუნება. იმერეთში სხვადასხვა სახის 12-მდე კურორტია. მათ რიცხვშია: წყალტუბო, საირმე, ნუნისი, სულორი, სიმონეთი, სეკარი, ამაღლება, სამტრედია, საწირე. კურორტების უმეტესობას მაღალი ხარისხის ბალნეოლოგიური/მინერალური წყლები აქვთ, რომლებიც გამაჯანსაღებელი და რეკრეაციული ტურიზმის შესაძლებლობებს გვთავაზობენ.

იმერეთის ბალნეოლოგიური კურორტების დახასიათება

#	კურორტი	ადმინისტრაციული ცენტრი	სიმაღლე ზღვის დონიდან	ბალნეოლოგიური პროფილი						
				ნატრონი	გასტრონეტი	განკვლილი	დუშა	კარდიოლოგიური	ნევროლოგიური	ურთოლოგიური
1	ამაღლება	ვანი	140მ	☒		☒			☒	
2	გორმაღალა	სამტრედია	200მ	☒						
3	ზეკარი	ბაღდათი	780მ	☒						
4	ზვარე	ხარაგაული	600მ		☒					
5	ქვერე	საჩხერე	750მ	☒		☒			☒	
6	კურსები	ტყიბული	350მ	☒		☒			☒	
7	ნუნისი	ხარაგაული					☒			
8	საირმე	ბაღდათი	950მ		☒					☒
9	სამტრედია	სამტრედია	25მ	☒		☒			☒	
10	სიმონეთი	თერჯოლა		☒		☒			☒	
11	სულორი	ვანი	200მ	☒		☒			☒	
12	წყალტუბო	წყალტუბო	95-120მ	☒		☒		☒	☒	

წყარო: ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი, TBSC-ის ანალიზი

იმერეთის უმთავრესი კურორტების და სპა-კურორტების აღწერა

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მთავარი კურორტის მოკლე აღწერა.

წყალტუბო



წყალტუბო წამყვანი სპა-კურორტია იმერეთში. იგი მდებარეობს ქუთაისიდან 9 კმ-ში, ხოლო შავი ზღვიდან 70 კმ-ში. კურორტს გააჩნია თერმული წყლების ფართო რეზერვი თავისი უნიკალური თერაპიული თვისებებით. სუბტროპიკული კლიმატი (ყველაზე თბილი თერმული-სპა მთელს ევრაზიაში), მდებარეობა და მდიდარი ბუნება კურორტს უნიკალურად მიმზიდველად ხდის ბევრისთვის.

წყალტუბო, სამკურნალო თვალსაზრისით, ფართო პოპულარობით სარგებლობდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. საბჭოთა კლასიფიკაციის მიხედვით კურორტების იერარქიაში წყალტუბოს კურორტი მოწინავე იყო და მას ხშირად სტუმრობდნენ საბჭოთა კავშირის მაღალჩინოსნები. 1989 წელს წყალტუბოში 22 სანატორიუმი იყო (5800 საწოლი) და ყოველწლიურად 500,000 ვიზიტორს იღებდა.

წყალტუბოს კურორტი ცნობილი თავისი მინერალური წყლებითაა, რომლებსაც უნიკალური ფიზიო-ქიმიური და სამკურნალო თვისებები აქვთ. აღნიშნული წყლები კატეგორიზდება, როგორც დაბალი რადონის შემცველობის (74-148 Bq/l) ქლორიდ-ჰიდროკარბონატ-სულფატ-სოდიუმ-მაგნეზიუმ-კალციუმის შემცველობის წყლების ჯგუფი, რომლის მინერალური შემცველობა 0.7-0.8 გრამს შეადგენს ლიტრზე. წყაროების მთლიანი დღიური წარმადობა 18-20 მილიონი ლიტრია. წყლის ტემპერატურა 33°-დან 35°C-მდეა, შესაბამისად არ საჭიროებს დამატებით გაცხელებას.

1990 წლიდან კურორტმა ფაქტობრივად შეწყვიტა ვიზიტორების მიღება. ბოლო წლების განმავლობაში კი საქმიანობის აღორძინება და ვიზიტორების მომრავლება მოხდა. დღესდღეობით არსებული და ფუნქციონირებადი სანატორიუმები ვიზიტორებს ყოველდღიურად იღებენ.

კურორტის უნიკალურობა მის თავდაპირველ დაგეგმარებაშია, რომელიც მოიცავს 80 ჰექტარზე გაშლილ რეკრეაციულ პარკს, რომელიც გარშემორტყმულია 20 სანატორიუმით და სპა ობიექტით. ზოგიერთი მათგანი წარსულის უნიკალურ შედეგად ითვლება. კურორტის ტერიტორია უაღრესად სცენურია 150 ტიპის ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეებით, რომლებიც მთელს ტერიტორიაზეა გაშლილი.


წყალტუბოს კურორტს ზომიერად ტენიანი სუბტროპიკული კლიმატი აქვს $+14.6^{\circ}\text{C}$ წლიური საშუალო ტემპერატურით. ზამთარი საკმაოდ რბილი და უთოვლოა. საშუალო ტემპერატურა იანვარში დაახლოებით $+5.3^{\circ}\text{C}$ -ია. ზაფხული კი საკმაოდ თბილი და ზომიერად ტენიანია, აგვისტოს საშუალო ტემპერატურა $+23.8^{\circ}\text{C}$ -ია. წლიური ნალექი 1700 მმ-ა. საშუალო წლიური შედარებითი ტენიანობა 73%-ია, ხოლო მზის სხივების ხანგრძლივობა 2,000 საათს აღწევს წელიწადში.

წყალტუბოს მინერალური წყლები აბაზანების ფორმით არის გავრცელებული კურორტზე, რომლებიც საკმაოდ ქმედითუნარიანი წამალია რიგი დაავადებებისათვის – როგორცაა პერიფერიული ნერვული სისტემის დარღვევები, გულსისხლძარღვთა დაავადებები, ქალური დაავადებები, კანის დაავადებები, ასევე პირველ სტადიაში მყოფი ჰიპერტენზიური დაავადებები, მეტაბოლიკური დარღვევები და ა.შ. წყალტუბოს მინერალური წყლების თერაპიული ეფექტები განსაზღვრულია წყალში შემცველი ფიზიო-ქიმიური კომპონენტებით. სხვა მსგავს ბალნეოლოგიურ კურორტებთან შედარებით წყალტუბოს უპირატესობა წყლის მახასიათებლებში მდგომარეობს, რომელიც საშუალებას იძლევა თერაპიის სესიები მოკლე ინტერვალებში ჩატარდეს, რაც არ არის რეკომენდირებული სხვა მსგავს კურორტებზე. წყალტუბოს წყლებს დღეში 15,000 ვიზიტორის მკურნალობის პოტენციალი აქვთ.

დღესდღეობით კურორტი მოიცავს: ტბას, სათამაშო მოედანს, 9 საჯარო აბაზანას, 80 ჰექტარზე გაშლილ პარკს, არხს პარკის ტერიტორიაზე და 22 სანატორიუმს პარკის გარშემო.

მთავრობამ უკვე დაიწყო კურორტის, როგორც ტურისტული მიმართულების განვითარება; არსებული სპა ობიექტების და სააბაზანოების აღდგენა/განახლება. მთავრობას აქვს ხედვა და შემუშავებული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც წყალტუბოს კურორტი ტრადიციული და ამასთანავე თანამედროვე სპა-კურორტებით უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იქნება ვიდრე ახლახანს განახლებული მსგავსი ტიპის სპა კურორტები ევროპაში და სხვაგან. ეს იმისთვისაა, რომ მივაღწიოთ სწორ, ტრადიციული ბალნეოთერაპიული კურორტის და თანამედროვე სპა სალონის კონცეფციის (წყარო: საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო – წყალტუბოს ინვესტიციების შესაძლებლობა) ნარევს. რამდენიმე ხნის წინ მთავრობამ წყალტუბოში ახარტული თამაშების ბიზნესის გახსნაზე შეღავათები გამოაცხადა, ამასთანავე დაიწყო ქალაქში ინფრასტრუქტურის განვითარების, მათ შორის კომუნალური კომუნიკაციების (წყლის და საკანალიზაციო სისტემის), გზების შეკეთების მხარდაჭერა; ქალაქის ცენტრის შეკეთების და გარშემო ტერიტორიების გაუმჯობესების დაგეგმარება, ერთ-ერთი შენობის რეაბილიტაცია და მისი სახელმწიფო რეზიდენციად გადაქცევა, ტბის, სტადიონის და პარკის მოწყობა/განახლება.

წყალტუბოს რუკა



წყარო: www.investingeorgia.ge

რეკლამირების მხრივ არც თუ ისე ბევრი ღონისძიება გატარდა ამ კუთხით სასტუმროების მხრიდან. მხოლოდ რამდენიმე სასტუმრო თუ აპოზიციონირებს კურორტს, როგორც ბალნეოლოგიურ სპას. ამჟამად სამი მოქმედი სპა ობიექტია იმერეთში. აღნიშნული სპა ობიექტები იყენებენ გარკვეული ტიპის სარეკლამო მასალებს (სამ ენაზე), რომლებიც მათ სამედიცინო უპირატესობას გვაცნობენ და კურორტის შესახებ ძირითად ინფორმაციას გვაწვდიან. სპა პროცედურის ფასები 5-დან 25 ლარამდე მერყეობს ერთ ადამიანზე (წყარო: ინტერვიუ სპას ადგილობრივ მენეჯერთან). არსებული სპა ობიექტის ვებ-გვერდი ამჟამად არ ფუნქციონირებს. კურორტის ბალნეოლოგიური იმიჯი ჭარბობს ყველა სარეკლამო მასალაში და ინტერნეტში.

კურორტი საირმე



კურორტი საირმე ქუთაისიდან 55 კილომეტრში, ხოლო ზღვის დონიდან 950 მეტრზე მდებარეობს მდინარე წაბლარის ხეობაში. მდინარე წაბლარი სათავეს იმერეთის ჩრდილო-დასავლეთით, იმერეთი-აჭარის მთიდან იღებს სათავეს. კურორტი საირმე ფიჭვნარით არის გარშემორტყმული, რომელიც 19 000 ჰა-ზეა გაშლილი და მიკროკლიმატის შექმნაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს.

საირმე ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც გამოირჩევა ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად თერაპიული, მინერალებით-გამდიდრებული თერმული წყლების საბადოებით ბაღდათის რაიონში.

დეკადების განმავლობაში საირმის კურორტი მიჩნეული იყო, როგორც მთავარი საკურორტო ზონა, თუმცა ინფრასტრუქტურის ტურისტებისათვის მისაღებ დონეს საირმემ 2012 წელს მიაღწია. ინვესტორთა ჯგუფმა 10 მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა და ახლა კურორტზე თანამედროვე ინფრასტრუქტურაა, რომელიც შედგება 150 სასტუმროს ოთახის, სამედიცინო ცენტრის (რომელიც თერაპევტულ, კარდიოლოგიურ, უროლოგიურ გამოკვლევებს გვთავაზობს) კვების და გართობის ობიექტებისაგან. ასევე იგეგმება საკონფერენციო დარბაზი (წყარო: ინტერვიუ საირმის სპა-კურორტის დირექტორთან ზურა ჯანგულაშვილთან).

სარეკლამო თვალსაზრისით კურორტს მარკეტინგის დეპარტამენტი აქვს თბილისში, რომელიც ვებ-გვერდის (<http://www.sairme.com.ge>) ფუნქციონირებაზე, ბროშურების დამზადებისა და სხვადასხვა მარკეტინგულ ღონისძიებებზეა პასუხისმგებელი. ასევე იგეგმება კურორტის საგზურების გაყიდვა ონლაინ პლატფორმების მეშვეობით, როგორიცაა მაგალითად booking.com (წყარო:საირმის სპა-კურორტის მთავარი მენეჯერი).

კურორტი ნუნისი



კურორტი ნუნისი ხარაგაულის რაიონს ეკუთვნის და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ წამყვან ღირშესანიშნავ ადგილად მოიხსენიება. იგი მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის პარკის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, რაიონული ცენტრიდან 22 კმ-ის დაშორებით ზღვის დონიდან 750 მეტრზე. უახლოესი დასახლებული ადგილია სოფელი ამავე სახელწოდებით, რომელიც კურორტიდან 1.5 კმ-ში მდებარეობს. კურორტს კვეთს მდინარე ნუნისი. კურორტი ფუნქციონირებს 1856 წლიდან.

ნუნისი პოზიციონირებულია, როგორც ბალნეოთერაპიული კურორტი, რომელიც ცნობილია თავისი ლამაზი ბუნებით – „სამთა ნუნისით“. უძველესი დროიდან ნუნისი ცნობილია სამკურნალო მინერალური (ბალნეოლოგიური) წყლებით. შერეული, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყე კურორტზე უნიკალურ მიკროკლიმატს ქმნის. ეს კურორტი სასარგებლო მათთვის, ვისაც კანის და ნერვული დაავადებები აწუხებთ. ვიზიტორებს შეუძლიათ ზვარეს მინერალური წყლის დაღევა, რომელიც ორგანიზმში მჟავიანობას არეგულირებს. გაზაფხულზე, ფიჭვისა და ნაძვის ხეების აყვავების დროს, ჰაერი სპეციალურ სამკურნალო ეფექტს იძენს, ფიჭვნარის დამტვერვის პერიოდში ნუნისის ჰაერი განსაკუთრებით სასარგებლოა ფილტვებისა და ბრონქული დაავადებებისთვის.

სარეკლამო თვალსაზრისით კურორტს ფუნქციონირებადი ვებ-გვერდი აქვს (www.nunisi.ge), რომელიც რეკლამირებას საოჯახო-რეკრეაციულ, კორპორატიულ და ბალნეოლოგიურ შეთავაზებებს უკეთებს.

მომზადებულია



თანამშრომლობით



ბარსელონა/თბილისი, 2012 წლის 11 ივლისი